



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011713334882320

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

338544

22 / სექტემბერი / 2020 წ.

გ ა დ ა ნ წ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ადმინისტრაციულ წარმობაში დაინტერესებულ მხარედ ჩაბმის შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრების ნომრები: 348981/17, 349002/17 და 349021/17; **თარიღი:** 14.09.2020 წ.

ადმინისტრაციული საჩივრების წარმომდგენი პირი: შპს „სითი ცენტრი 2-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401991537) წარმომდგენელი გიორგი შეყრილაძე (პირადი ნომერი 01024045352).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების გამომცემი/მიმღები სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებელი გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმობის შეჩერების შესახებ № 882020556636-03 (21.08.2020 წ.), №882020556677-03 (21.08.2020 წ.) და №882020556706-03 (21.08.2020 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირის მოთხოვნა: გასაჩივრებელი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და იპოთეკის შეწყვეტა უძრავ ნივთებზე.

უძრავი ნივთების მისამართი: ქალაქი თბილისი, ჰეიდარ ალიევის სახელობის მარჯვენა სანაპირო, № 19, №21 და №21ა.

საჯარო რეესტრის №331751 (18.09.2020 წ.) გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი წარმობაში იქნა მიღებული.

2020 წლის 18 აგვისტოს შპს „სითი ცენტრი 2-ის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 401991537) წარმომდგენელმა გიორგი შეყრილაძემ (პირადი ნომერი 01024045352) ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურში წარადგინა №882020556636, №882020556677 და №882020556706 სარეგისტრაციო განცხადებები და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე (საქმის ნომერი: 2/32972-17) მოითხოვა იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდები: 01.15.03.002.001, 01.15.03.002.029 და 01.15.03.002.024).

სარეგისტრაციო წარმობის შეჩერების შესახებ № 882020556636-03 (21.08.2020 წ.), № 882020556677-03 (21.08.2020 წ.) და №882020556706-03 (21.08.2020 წ.) გადაწყვეტილებებით დაინტერესებულ პირს ეცნობა, რომ საჯაროსამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეესტრის მონაცემებით ზემოხსენებულ უძრავ ნივთებთან დაკავშირებით წარდგენილი იყო № 102020057394, № 102020057398, №102020281889, №102020281888 და №102020057402 განცხადებები ყადაღის რეგისტრაციის მოთხოვნით.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, უძრავ ნივთებზე (საკადასტრო კოდები: 01.15.03.002.001, 01.15.03.002.029 და 01.15.03.002.024) რეგისტრირებულია იპოთეკა და იპოთეკარს წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869), ამდენად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმობის პრინციპების დაცვით, ადმინისტრაციულ წარმობაში ჩაბმულ უნდა იქნეს სს „საქართველოს ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს ადგენს კანონი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 185-ე მუხლის დანაწესით, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი ამრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგენილი წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ამრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

ამდენად, წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი“.

საჯარო რეესტრმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „სითი ცენტრი 2-ის“ წარმომდგენლის გიორგი შეყრილაძის 2020 წლის 14 სექტემბრის № 348981/17, № 349002/17 და № 349021/17 ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს სს „საქართველოს ბანკი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869).

2. ადმინისტრაციული საჩივრებისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები (51 (ორმოცდათერთმეტი) ფურცელი) გაეგზავნოს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ სს „საქართველოს ბანკს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869).

3. დაინტერესებულ მხარეებს განემართოთ, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვთ, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა შესწავლის მიზნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

4. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე - თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.

5. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტრულად



დავით დევიძე